საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/152 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ც. სირბილაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ცისანა სირბილაძე 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ცისანა სირბილაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 8 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 35 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ცისანა სირბილაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ცისანა სირბილაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 26-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. იგი 2006-2020 წლებში იყო საერთო სასამართლოების მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ცისანა სირბილაძეს გაესაუბრნენ 15 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა შეაფასა კანდიდატი ცისანა სირბილაძე კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ცისანა სირბილაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ცისანა სირბილაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1301 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 86.73%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მე-4 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, ცისანა სირბილაძემ მოიპოვა 12 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 27 კანდიდატი, მათგან 5 მოქმედი მოსამართლე, 8 ყოფილი მოსამართლე და 14 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებიაშვილი მიხეილ - 0 ხმა
2. ბერეკაშვილი ქეთევან - 0 ხმა
3. ბიწაძე ეკატერინე - 0 ხმა
4. გიორგაძე ნინო - 0 ხმა
5. გოგატიშვილი დიანა - 0 ხმა
6. გოგატიშვილი ნინო - 0 ხმა
7. დუგლაძე ქეთევან - 0 ხმა
8. ვატიტაძე გრიგოლ - 0 ხმა
9. ზათიაშვილი ვერიკო - 0 ხმა
10. თაყაძე თეა - 0 ხმა
11. კლდიაშვილი ლაშა - 0 ხმა
12. კოჭლამაზაშვილი არჩილ - 0 ხმა
13. კოხრეიძე ლეილა - 1 ხმა
14. მამაცაშვილი ქეთევან - 0 ხმა
15. მარშანია ნათია - 0 ხმა
16. მერაბიშვილი ნათია - 0 ხმა
17. ნადოი რეზო - 0 ხმა
18. სირბილაძე ცისანა - 12 ხმა
19. უბილავა გიზო - 0 ხმა
20. ურთმელიძე თამაზ - 0 ხმა
21. ფუხაშვილი მორის - 0 ხმა
22. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
23. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა
24. ხუსკივაძე ირაკლი - 0 ხმა
25. ხუჭუა ვლადიმერ - 1 ხმა
26. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა
27. ჯინჯოლია მიხეილ - 0 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ცისანა სირბილაძის კეთილსინდისიერების (საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი ნორმების ცოდნის, წერის უნარის, პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 26 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა ცისანა სირბილაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი